]

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1926
18/11/2015

1926-01-4-201511181705

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების
/მიწის ნაკვეთები/ პრივატიზებისათვის ელექტრონული აუქციონის
გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „დ.ა“ ქვეპუნქტების, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და 119-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ზონების საზღვრების აღწერის, ტერიტორიულ ზონებსა და ქვეზონებში მოქცეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №77 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №115 განკარგულების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 თებერვლის №116 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1.გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთები/ პრივატიზებისათვის დანართი №1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

2.დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების /მიწის ნაკვეთები/ ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

3.ელექტრონული აუქციონის პროცესი უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტომ.

4.ბრძანება განთავსდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

5.ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ.№11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ნოდარ მიქიაშვილი

მერის მოვალეობის შემსრულებელი